14/06/2024

MES 2 24 0000672268

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 31. 05. 2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:13 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე (I – IX საკითხებზე)
სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ღაღანიძე (X და XI საკითხებზე)
სხდომის მდივანი: ქეთევან ქუთათელაძე (I – IX საკითხებზე)
სხდომის მდივანი: ციური დურული (X და XI საკითხებზე)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომშისაბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

თამარ ლომინაძე - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი -
საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი,
დიმიტრი ჯაფარიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
ვასილ კიკუტაძე - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
დიანა მჭედლიშვილი – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ქეთევან ნანობაშვილი – შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი
ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გიორგი მირიანაშვილი - შპს "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაკა ბერიძე - რექტორი
ნინო მილაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
ლევან მაკარაძე - ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბელა ხაბეიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
მარინა კობეშავიძე - პროგრამის ხელმძღვანელი

თეა თათეშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ნინო ქიმერიძე-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი
შოთა ფოთოლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვლადიმერ ღლონტი - პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
თეონა ბერიძე - ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „გერმანული ფილოლოგია“ ხელმძღვანელი
ივდით დიასამიძე - ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარინე არაშიძე - პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის: სლავური ფილოლოგია“ ხელმძღვანელი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „თარგმანმცოდნეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია“ ხელმძღვანელი;
ქეთევან სვანიძე - ასოცირებული პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სლავური ფილოლოგია“ ხელმძღვანელი;
ემზარ მაკარაძე - პროფესორი, „თურქოლოგიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი
ნატალია სურგულაძე - პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „რომანული ფილოლოგიის“ ხელმძღვანელი;
თამარ სირაძე - პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის „ინგლისური ფილოლოგია“ ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

გასპარ ფრანცისკო როს ბერუზო (Gaspar Francisco Ros Berruezo) - I საკითხი
გიორგი მელაშვილი - I საკითხი
ირაკლი ჯანაშია - I საკითხი
ნინო ჯოჯუა - I საკითხი
შოთა სილაგაძე - I საკითხი
მარიეტა ჩიხლაძე - II, III საკითხები
რევაზ ტაბატაძე - IV, V, VI, VII, VIII, IX საკითხები

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას I – IX საკითხებზეუხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ, ხოლო X და XI საკითხების განხილვის დროს სხდომის თავმჯდომარე იყო გიორგი ღაღანიძე.

ამავე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის დავალებით, სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება დაევალა საბჭოს წევრს, ქეთევან ქუთათელაძეს I – IX საკითხებზე, ხოლო X და XI საკითხებზე სხდომის მდივნად განისაზღვრა - ციური დურული.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სხელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რომანული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ესპანისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გერმანული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)", საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სლავური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

8. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

9. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

10. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/ გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

11. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თარგმანმცოდნეობის და კულტურათშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტი, დარეჯან გარდავაძე, რომელმაც შეისწავლა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, ვერ ახერხებდა სხდომაზე დასწრებას და დასკვნების წარდგენას საბჭოს სხდომაზე, ვინაიდან არ იმყოფებოდა საქართველოში. შესაბამისად მან შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგით განსაზღვრული "თურქოლოგიის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანგარიშების განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.
ასევე, ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა საბჭოს დამატებით განეხილა „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №530266 და „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №530277 გადაწყვეტილებების დანართებში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხები.

საბჭომ დაკმაყოფილა შუამდგომლობები.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სხელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რომანული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ესპანისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გერმანული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)", საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სლავური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

8. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/ გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

9. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თარგმანმცოდნეობის და კულტურათშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა.

10 „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №530266 გადაწყვეტილების დანართ N1- ში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;

11. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №530277 გადაწყვეტილების დანართ N1- ში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა.

საბჭოს სხდომას პირველის საკითხის განხილვის დროს არ ესწრებოდა თამარ ტუფინაშვილი

პირველი საკითხი:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სხელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება -„ვეტერინარია“

2. საფეხური - დოქტორანტურა

3. სწავლებისენა - ქართული

4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 50

5. მისანიჭებელიკვალიფიკაცია - ვეტერინარიის დოქტორი

6. დეტალურისფეროსკოდი - 0841 ვეტერინარია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ) მ დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, გასპარ როს ბერუეზო მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესი იყო საკმაოდ პროდუქტიული. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა მაღალი კომპეტენციის მქონე პერსონალს. მისი თქმით, საბოლოო დასკვნაში აისახა ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც დაფიქსირდა პროგრამის შეფასების ფარგლებში. პროგრამის შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა სტანდარტების უმრავლესობის სრული შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. ექსპერტებმა გასცეს შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდებულია:

„ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების“ მე-13 მუხლის ვ) კომპონენტის შეცვლა და მისი უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება.

სილაბუსებში და საბოლოო შეფასების ფორმებში განსაზღვრულ შეფასების მეთოდებს შორის განსხვავებებისა და მათი გადაჭრის გზების გადახედვა.

რეკომენდებულია აქცენტი გაკეთდეს უახლესი სამეცნიერო აქტივობისა და მაღალი სამეცნიერო გავლენის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების მნიშვნელობაზე/ მოთხოვნაზე სამეცნიერო ხელმძღვანელებისთვის;

უცხოელი კოლეგების ჩართვა ხელმძღვანელობის/ თანახელმძღვანელობის პროცესში.

დოქტორანტების პოტენციურ ხელმძღვანელისთვის სავალდებულოდ განისაზღვროს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის გამოყვეყნება შესაბამის, მაღალი-სამეცნიერო გავლენის მქონე, ჟურნალში ბოლო 5 წლის განმავლობაში.
უნივერსიტეტის კვლევითი ობიექტების სასწრაფო განახლება, იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს კვლევის მოსალოდნელი გავლენა საერთაშორისო ჟურნალებში, განსაკუთრებით ვეტერინარულ კლინიკებში. მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ინფრასტრუქტურა აშენდეს გეგმის მიხედვით და არჩევითი საგნები მხარდაჭერილი იყოს ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, მაკა ბერიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ნებისმიერი საფეხურის „ვეტერინარიის“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის მდგრადობა და აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია. უნივერსიტეტმა გარკვეული ფინანსური რესურსი გაიღო იმისთვის, რომ „ვეტერინარიის“ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები მომზადებულიყო. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც ექსპერტები დაწესებულებაში იმყოფებოდნენ, უნივერსიტეტმა მათ წარუდგინა ინფრასტრუქტურის განახლების გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ, უნივერსიტეტმა გაიმარჯვა „ვეტერინარიის“ კუთხით განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პროექტში და მოიპოვა 300, 000 ლარზე მეტი თანხა, რომელიც სრულად მოხმარდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განახლებას. გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა „Erasmus+“ პროგრამამ, რომელიც დღესაც ხორციელდება. ბიბლიოთეკაში უკვე განთავსებულია საერთაშორისო დონის ლიტერატურა. დაწესებულება კარგად აცნობიერებს იმას, რომ ეს პროცესი არ არის ერთჯერადი. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას სჭირდება განვითარება. პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან მაკარაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ პროგრამის მიმართ გაცემული ყველა რეკომენდაცია გაიზიარა. ცვლილებები განხორციელდა დაწესებულების ნორმატიულ აქტებში, რომლებიც უკავშირდებოდა სადოქტორო პროგრამის სწავლება სწავლის პროცესს. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების“ მე-13 მუხლის, 13.1 „ვ“ პუნქტში მოცემულია: „სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე დოქტორანტს, მის მიერ განხორციელებული კვლევის სფეროს გათვალისწინებით, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში ავტორობით ან თანაავტორობით გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს (ან მიღებული იყოს დასაბეჭდად) სამეცნიერო სტატია. სადისერტაციო ნაშრომისა და სამხარეო პათოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შეუძლია განსაზღვროს აუცილებელი სამეცნიერო პუბლიკაციების სხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნების შესაძლებლობა“. ასეთი ჩანაწერი უკავშირდება იმას, რომ საქართველოში, „ვეტერინარიის“ მიმართულებით ძალიან აქტიური არის ბევრი ენდემური დაავადებები, რომლებიც „ვეტერინარიის“ დარგის განვითარებისათვის არის სერიოზული პრობლემა. შესაბამისად, ეს უკავშირდება სამხარეო პათოლოგიას. თუ დოქტორანტი მსგავსი მიმართულებით დაგეგმავს კვლევების განხორციელებას, შეიძლება იმპაქტ ფაქტორიანი ჟურნალისთვის აქტუალობის თვალსაზრისით, ეს საკითხი არ იყოს საინტერესო. მას შესაძლებლობა ექნება სხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოაქვეყნოს ამ მიმართულების სტატია. მისი თქმით, კარგი იქნება თუ აკრედიტაციის საბჭო დაწესებულების ამ მოსაზრებას გაითვალისწინებს. შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებში გადახედილი იქნა სწავლებისა და

შეფასების მეთოდების შესაბამისობის საკითხი საბოლოო შეფასების ფორმებთან მიმართბაში და ისინი მოყვანილი იქნა თანხვედრაში. მესამე და მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთ წელია უნივერსიტეტს გამოცხადებული აქვს დოქტორანტების მიღება პროგრამაზე. უცხოელი კოლეგების ჩართვა გათვალისწინებულია შესაბამის დოკუმენტებში, კერძოდ, დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების 10-ე მუხლის, 10.10, 10.11, 10.12, 10.13 პუნქტებში. ის სტუდენტები, რომლებიც დაამთავრებენ „ვეტერინარიის“ სამაგისტრო პროგრამას და მოისურვებენ მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელებას, უცხოელი კოლეგების ჩართულობით განახორციელებენ სამეცნიერო კვლევებს. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან კერძოდ, ბაქტერიოფაგთან, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ლაბორატორიასთან და ა.შ. მან აღნიშნა, რომ დოქტორანტისათვის ყველა პირობის შექმნა უნივერსიტეტის ბაზაზე შეუძლებელია და არც არის საჭირო. მაგალითად, ნახევარმილიონიანი აპარატურის, რომელიც ძალიან სწრაფად იკვლევს დაავადებაზე სხვადასხვა გამომწვევ მიზეზებს, რატომ უნდა დაევალოს უნივერსიტეტს მისი შეძენა, როდესაც სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ლაბორატორიაში არსებობს ეს აპარატურა და შესაძლებელია ამ ლაბორატორიაში კვლევის განხორციელება. ამრიგად, უნივერსიტეტი გეგმავს სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან მემორანდუმების გაფორმებით აქტიურ თანამშრომლობას. ეს იქნება ერთ-ერთი ძირეული საფუძველი იმისა, რომ დოქტორანტმა თავისი კვლევითი სამუშაოები შეასრულოს შესაბამის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებში.

<u>**საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი მირიანაშვილმა**</u>

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტურია შრომის ბაზრის 2021 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები დღევანდელობისათვის. მისი თქმით, დამსაქმებელთა კვლევაში ნაკლებადაა წარმოდგენილი კერძო სექტორი. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი. ასევე გაანალიზდა თუ არა დასაქმების საიტზე, მაგალითად, Jobs.ge-ზე, არსებული ვაკანსიები და იცის თუ არა კერძო სექტორმა, რომ უნივერსიტეტს გამოცხადებული ჰქონდა „ვეტერინარიის“ სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტების მიღება. გარდა ამისა, ვინ განსაზღვრავს სამხარეო პათოლოგიას და რას მოიცავს ის. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ბერიძემ განაცხადა, რომ შრომის ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტი კერძოდ, მერვე დანართი მოიცავს არა მხოლოდ 2021 წლის, არამედ 2023 წლის ინფორმაციას. დაწესებულება ჩართულია ვეტერინარიის მიმართულებით „Erasmus+“ პროექტში. საქართველოსა და უცხოური უნივერსიტეტების ჩართულობით მოხდა შრომის ბაზრის კომპლექსური კვლევის ჩატარება. 2021 წლის შრომის ბაზრის კვლევა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ამ კვლევაში გამოჩნდა დარგში არსებული პროფესორების დასაქმების მაჩვენებელი და მათი ასაკობრივი მდგომარეობა. სამცხე-ჯავახეთის, ევროპისა და ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტმა უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ჩაატარეს სიღრმისეული კვლევა, რომელიც ეხებოდა დარგში დასაქმებულ აკადემიურ და მოწვეული პერსონალის მდგომარეობას და რეგიონების მიხედვით გამოკვეთილ საჭიროებებს. ეს დოკუმენტი არსებობს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან მაკარაძემ აღნიშნა, რომ 2023 წელს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე გამოიცა წიგნი - „ვეტერინარიის თანამედროვე მდგომარეობა, გამოწვევები და პერსპექტივები“, რომელშიც ასახულია ყველა ის მასალები, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ვეტერინარიას უკავშირდება. სამხარეო პათოლოგიასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ვეტერინარიაში ტკიპის დაავადებები იწვევს ვეტერინარული ინფექციური

პათოლოგიას მაშინ, როდესაც სხვა ქვეყანაში მსგავსი დაავადება საერთოდ არ არის. გარდა ამისა, საქართველოში ფიქსირდება „ცოფი“ და „ბრუცელოზი“, რომელიც სურსათის ეროვნულმა სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტმა ენდემურ დაავადებათა ჩამონათვალში შეიყვანა.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „ვაქცინოლოგიის“ სასწავლო კურსში მითითებულია რუსული სახელმძღვანელო სავალდებულო ლიტერატურად, გარდა ამისა, „ვეტერინარული პრეპარატების თანამედროვე ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსში მითითებულია 2011 წელს გამოცემული ერთი სავალდებულო ლიტერატურა, მას აინტერესებდა აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების განმარტება. პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან მაკარაძემ განაცხადა, რომ წინა წელს „Erasmus+“ პროექტის ფარგლებში დაწესებულებამ შეიძინა როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურა. დაწესებულებამ უზრუნველყო მათი დამატება სილაბუსებში. ეს არის პირვანდელი სილაბუსები, რომლებშიც ასახულია ძველი ლიტერატურა. „პათანატომიის“ სასწავლო კურსში კერძოდ, კვლევით მეთოდებში მითითებულია 60-იან წლებში გამოცემული „მიკროსკოპული კვლევის მეთოდები“. ეს ლიტერატურა იმიტომ არის მითითებული, რომ ამ დისციპლინურ დარგში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა და დიდი ალბათობით არც განხორციელდება. მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება მოახდენს აღნიშნული კურსების მიღების წინაპირობების დაზუსტებას. საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა იყო მიზეზი იმისა, რომ პროგრამის აკრედიტაციის ვადის უწყვეტობა ვერ შენარჩუნდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას პირობითი აკრედიტაცია ჰქონდა მიღებული. ამ ვადის გასვლის შემდეგ უნივერსიტეტმა დადგენილ ვადებში წარადგინა პროგრამა ცენტრში აკრედიტაციის საბჭოზე განსახილველად. დოქტორანტებმა პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის შემდეგ შეიჩერეს სტუდენტის სტატუსი, თუმცა აკრედიტაციის მიღების შემდეგ ისინი ისევ ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ სწავლას. საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, აქვს თუ არა დოქტორანტს სამეცნიერო ბაზებთან წვდომის შესაძლებლობა, სადაც მას ექნება საშუალება გაეცნოს სამეცნიერო პუბლიკაციებს. გარდა ამისა, ის დაინტერესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები შესყიდვის პროცესში იყო თუ უკვე შესყიდულია. ასევე რა თანხა შეიძლება დაჯდეს დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის დაფინანსება. ელიზბარ ელიზბარაშვილმა ასევე კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს იმის საშუალება, რომ მომიჯნავე პროგრამის დაცულ დისერტაციებს გასცნობოდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ სამეცნიერო ბაზებთან წვდომის მიზნით უნივერსიტეტმა შეისყიდა გარკვეული სამეცნიერო ბაზები სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისთვის. შესაბამისად, ნებისმიერი ადგილიდან დოქტორანტს და პროფესორს აქვს წვდომა სამეცნიერო ბაზებზე. მაგალითად, „ქართული ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში როგორც კი დაწესებულებამ დაამატა სამეცნიერო სტატიები, ექსპერტებმა მოითხოვეს მათი შეცვლა მონოგრაფიებით. ელიზბარ ელიზბარაშვილის თქმით, ნებისმიერი სადოქტორო ნაშრომი იწყება სამეცნიერო სიახლის ჩვენებით. ამ უკანასკნელს კი დოქტორანტი ისე ვერ წარმოაჩენს, თუ არ მიმიოხილა ბოლო წლების სამეცნიერო პუბლიკაციები. მონოგრაფიები კი ისეთ შედეგს არ იძლევა, როგორც სტატიების გამოყენება კვლევით პროცესში. მაკა ბერიძემ განაცხადა, რომ ლიტერატურა დაწესებულებამ შეიძინა სილაბუსების და დარგის საჭიროებებიდან გამომდინარე. შესაბამისად, უნივერსიტეტმა ექსპერტებს ინვოისები იმიტომ გაუზიარა, რომ ლიტერატურის შეძენა შესყიდვის პროცესში იყო. მისი თქმით, წარმოდგენილი ბიუჯეტი მხოლოდ „ვეტერინარიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის არის განკუთვნილი. ყველა საერთაშორისო პროექტში დოქტორანტი მონაწილეობას იღებს, რომელსაც აფინანსებს უნივერსიტეტი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აკადემიური პერსონალი არის “SCOPUS”-ში განთავსებული სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი. პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან მაკარაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტების კვლევის შედეგებით სამეცნიერო ბაზებში

განთავსება ვერ ხერხდება იმიტომ, რომ ჯერ მათ გავლილი აქვთ მხოლოდ პირველი სასწავლო წელი. დოქტორანტი კვლევების განხორციელებას დაიწყებს მესამე სემესტრის დასრულების შემდეგ. ექსპერტმა ირაკლი ჯანაშიამ აღნიშნა, რომ მსგავსი პროგრამის დაცულ დისერტაციებს ექსპერტები ვერ გაეცვნენ იმიტომ, რომ „ვეტერინარიის“ მონათესავე სფერო არ არსებობდა. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამის არცერთი სწავლის შედეგი არ გადიოდა გაცნობის კომპონენტზე, მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. მაკა ბერიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული დარგი რეგულირებადი დარგია და მკაცრად არის შეზღუდული მიღების წინაპირობა. ყველა ის კურსი, რომელიც შეტანილია ამ პროგრამაში, ემსახურება სტუდენტის ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამის წინა აკრედიტაციის წარმოებისას გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „საჭიროა ვეტერინარული კლინიკის მოწყობა“. მას აინტერესებდა, როგორია უნივერსიტეტის პოზიცია მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რამდენად საკმარისია კვლევითი და ლაბორატორიული ბაზა იმ მიზნებისა და შედეგების მისაღწევად, რომლებიც პროგრამით არის გათვალისწინებულია. ასევე როგორ აპირებს უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდას. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ბერიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს ვეტერინარული კლინიკის მოწყობა. პროგრამის ხელმძღვანელმა პერსონალთან ერთად წარმოადგინა ვეტერინარული კლინიკის დეტალური აღჭურვილობა. ვეტერინარული კლინიკის აღჭურვილობის ერთ ნაწილზე მიმდინარეობს შესყიდვა, ხოლო მეორე ნაწილის აღჭურვილობის შესასყიდად განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან თანხა გამოიყოფა ახლო მომავალში. მისი თქმით, კვლევითი და ლაბორატორიული ბაზა საკმარისია იმ მიზნებისა და შედეგების მისაღწევად, რომლებსაც პროგრამა ითვალისწინებს. ყარსის კავკასიის უნივერსიტეტი უსასყიდლოდ ეხმარება დაწესებულებას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში. გარდა ამისა, ისინი მზად არიან ერთობლივი პროგრამის განხორციელებაზე. ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 6 დოქტორანტი, რომელთა სწავლას დაწესებულება აკვირდება, რათა სწორად შეაფასოს პროგრამის მუშაობა და მისი სწავლის შედეგებზე გასვლა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:32
დასრულების დრო: 15:57
საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სადოქტოროს ხელმძღვანელობის შესახებ მე-4 რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში.
სტანდარტის 1.5 კომპონენტთან საბჭომ დაამატა რეკომენდაცია - „რეკომენდებულია, სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის განახლება და შესაბამისად, უახლესი ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურის/პუბლიკაციების მითითება.
საბჭომ დააფორმულირა მე - 2 რეკომენდაცია და ჩამოაყალიბა შემდეგი სახით - რეკომენდებულია, გადაიხედოს არსებული განსხვავებები სილაბუსებსა და საბოლოო შეფასების ფორმებში წარმოდგენილ შეფასების მეთოდებს შორის და განისაზღვროს მათი გადაჭრის გზები.
დაფორმულირდა მე - 6 რეკომენდაცია და ჩამოყალიბდა შემდეგის სახით – რეკომენდებულია, უნივერსიტეტის კვლევითი რესურსები, მათ შორის ვეტერინალური კლინიკა, დაუყონებლივ განახლდეს, რათა უპასუხოს ვეტერინარიის დარგის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების არსებულ გამოწვევებს, რაც ასევე მნიშვნელოვანია, პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული არჩევითი სასწავლო კურსების განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2025 წლის 31 დეკემბრამდე, ერთ წელიწადში რეკომენდაციების შერულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სხელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2025 წლის 31 დეკემბრამდე 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები

- რეკომენდებულია „ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების“ მე-13 მუხლის „ვ“ კომპონენტის შეცვლა და მისი უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს არსებული განსხვავებები სილაბუსებსა და საბოლოო შეფასების ფორმებში წარმოდგენილ შეფასების მეთოდებს შორის და განისაზღვროს მათი გადაჭრის გზები;
- რეკომენდებულია , აქცენტი გაკეთდეს უახლესი სამეცნიერო აქტივობისა და მაღალი სამეცნიერო გავლენის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების მნიშვნელობაზე/ მოთხოვნაზე სამეცნიერო ხელმძღვანელებისთვის;
- რეკომენდებულია, დოქტორანტების პოტენციურ ხელმძღვანელს მოეთხოვოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის გამოყვეყნება შესაბამის, მაღალი სამეცნიერო გავლენის მქონე ჟურნალში ბოლო 5 წლის განმავლობაში;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის კვლევითი რესურსები, მათ შორის ვეტერინალური კლინიკა, დაუყონებლივ განახლდეს, რათა უპასუხოს ვეტერინარიის დარგის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების არსებულ გამოწვევებს, რაც ასევე მნიშვნელოვანია, პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული არჩევითი სასწავლო კურსების განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

რჩევები:

- სასურველია უცხოელი კოლეგების ჩართვა ხელმძღვანელობის/ თანახელმძღვანელობის პროცესში;

- სასურველია გაიზარდოს ინტეგრირებულ პროგრამაში სტუდენტების ჩარიცხვისა და რეკრუტირების და სხვა კვალიფიციური წყაროების ეფექტურობა;
- სასურველია შენარჩუნდეს ხარისხის უზრუნველყოფის აქტიური სისტემა სტუდენტის მუშაობის შესაფასებლად როგორც არჩევით, ისე არაარჩევით საგნებში, ასევე სამეცნიერო კვლევის კომპონენტებში;
- სასურველია, რომ მაღალი სამეცნიერო გავლენის მქონე ჟურნალები შეირჩეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან;
- სასურველია საერთაშორისო პარტნიორების ჩართვა სადოქტორო პროგრამის სტუდენტების პროფესიული და სამეცნიერო განვითარების ხელშემწყობ პროცედურებში;
- სასურველია გაიზარდოს მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კვლევით სტიპენდიებში;
- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები მოერგოს სადოქტორო პროგრამას, განსაკუთრებით იმისთვის, რომ სტუდენტებმა დაასრულონ PDCA ციკლი, ხოლო აკადემიურმა პერსონალმა ობიექტური ინდიკატორებით შეძლოს კვლევის შესაძლებლობებისა და გავლენის გაზრდა;
- სასურველია პროგრამის პერიოდულად შედარება უცხოეთის უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან.

<u>**საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ გიორგი მირიანაშვილი და თამარ ტუფინაძე**</u>

მეორე საკითხი:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რომანული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება -"რომანული ფილოლოგია"
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაციები - ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი; იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი; ესპანური ფილოლოგიის მაგისტრი
5. დეტალური სფეროსკოდი - 0231 ენის დაუფლება

მესამე საკითხი:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ესპანისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება -„ესპანისტიკა"
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ესპანისტიკის ბაკალავრი
5. დეტალური სფეროსკოდი - 0231 ენის დაუფლება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადეს გიორგი ღაღანიძემ, ვასილ კიკუტაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს, საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციისექსპერტის დასკვნას.

ვინაიდან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რომანული ფილოლოგიის" საბაკალავრო და "ესპანისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები შეისწავლა ერთმკა ექსპერტმა მარიეტა ჩიხლაძემ, საბჭომ დაწესებულების და ექსპერტის თანხმობით ორივე საკითხი განიხილა ერთი მოსმენით და გადაწყვეტილებები მიიღო ერთი სათათბირო შესვენების ფარგლებში

მეორე და მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტი მარიეტა ჩიხლაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რომანული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციების და რჩევების დიდი ნაწილი შეასრულა. მისი თქმით, რამდენიმე რჩევის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ნახვა ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულება. "ესპანისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა. პროგრამის მიმართ გაიცა კლასტერული რჩევები. მოცემულ შემთხვევაშიც ვერ შეფასდა ტექნიკური მხარე და რიდერების მიმართ გაცემული რჩევა იმიტომ, რომ დაწესებულებას არ წარმოუდგენია აღნიშნული რჩევების შესრულების შესაბამისი მტკიცებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულებამ ორივე პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები შეასრულა. რიდერებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რიდერები საავტორო უფლებების მატარებელია და მათი ნახვა შესაძლებელია მხოლოდ კურსზე დარეგისტრირების შემთხვევაში. მატერიალური რესურსების შეფასებასთან მიმართებით აღნიშნა, რომ განახლდა "რომანული ფილოლოგიის" მიმართულებით მატერიალური რესურსები. მაგალითად, ბოლო ორი წლის განმავლობაში მოხდა 8 000 ლარის ღირებულების სამოცამდე წიგნადი ფონდის შეძენა. გარდა ამისა, განახლდა კომპიუტერები და პროექტორები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ თუ აკრედიტაციის საბჭო მიზანშეწონილად ჩათვლის შესყიდვისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენას დაწესებულების მიერ, უნივერსიტეტი მზად არის გაუზიაროს ეს დოკუმენტები საბჭოს. "რომანული ფილოლოგიის" პროგრამის ხელმძღვანელმა, განაცხადა, რომ

უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა. შესაბამისად, პროგრამა გახდა ინტერნაციონალური. პირველად დაიგეგმა პერსონალის მობილობა სხვადასხვა ევროპის უნივერსიტეტებში. გარდა ამისა, დაწესებულებამ მოამზადა 3 მემორანდუმი იტალიის, ესპანეთისა და საფრანგეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების გავლის მიზნით. მთარგმნელობითი მიმართულებით დაწესებულებას გაუჩნდა ახალი პარტნიორები, რომლებთანაც მოხდება მემორანდუმების გაფორმება. ამ მიმართულებით პრაქტიკა დაიტესტა, რომელშიც აქტიურად მიიღეს მონაწილეობა სტუდენტებმა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია ყოველთვის მზად არის მოთხოვნის შემთხვევაში ექსპერტს მიაწოდოს დამატებითი დოკუმენტები პროგრამის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 16:10

დასრულებისდრო: 16:17

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რომანული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1-2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ესპანისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1-2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ესპანისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

მეოთხე საკითხი:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება -„ინგლისური ფილოლოგია“
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
5. დეტალური სფეროსკოდი - 0231-ენის დაუფლება

მეხუთე საკითხი:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გერმანული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება -„გერმანული ფილოლოგია“
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი გერმანულ ფილოლოგიაში
5. დეტალური სფეროს კოდი - 0231-ენის დაუფლება

მეექვსე საკითხი:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)", საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება -"რომანული ფილოლოგია (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)"
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი რომანულ ფილოლოგიაში
5. დეტალური სფეროსკოდი - ენის დაუფლება 0231

მეშვიდე საკითხი:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სლავური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - "სლავური ფილოლოგია“
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი სლავურ ფილოლოგიაში
5. დეტალური სფეროს კოდი - ენის დაუფლება 0231

მერვე საკითხი:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/ გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ევროპული ფილოლოგია (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია / გერმანული ფილოლოგია / ფრანგული ფილოლოგია)
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაციები - ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი (მოდული: ინგლისური ფილოლოგია); გერმანული ფილოლოგიის მაგისტრი (მოდული: გერმანული ფილოლოგია); ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი (მოდული: ფრანგული ფილოლოგია);
5. დეტალური სფეროს კოდი - ენის დაუფლება 0231

მეცხრე საკითხი:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თარგმანმცოდნეობის და კულტურათშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - თარგმანმცოდნეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლებისენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - თარგმანმცოდნეობის მაგისტრი
5. დეტალური სფეროს კოდი - ენის დაუფლება 0231

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს, საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

ვინაიდან სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის", "გერმანული ფილოლოგიის", "რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)", "სლავური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო და "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/გერმანულიფილოლოგია/ფრანგულიფილოლოგია)" და "თარგმანმცოდნეობის და კულტურათშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშები შეისწავლა ერთმა

ექსპერტმა რევაზ ტაბატაძემ საბჭომ დაწესებულების და ექსპერტის თანხმობით ექვსივე საკითხი განიხილა ერთი მოსმენით და გადაწყვეტილებები მიიღო ერთი სათათბირო შესვენების ფარგლებში.

მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.
ექსპერტი რევაზ ტაბატაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ განსახილველ პროგრამებთან დაკავშირებით გაცემული იყო 23 კლასტერული რეკომენდაცია და 26 კლასტერული რჩევა. დაწესებულებამ კლასტერული რეკომენდაციების ერთი ნაწილი სრულად, ხოლო მეორე ნაწილი ნაწილობრივ გაითვალისწინა. მისი თქმით, დაწესებულებამ ნაწილობრივ გაითვალისწინა შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია: „პროგრამაში უნდა დაიშვას შეფასების მეთოდებისა და კომპონენტების მრავალფეროვნება, რათა შესაძლებელი იყოს სწავლის თითოეული შედეგის შეფასება სასწავლო კურსის ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით.“ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ფაქტობრივად ძირითადი ცვლილებები განხორციელდა ლიტერატურული კომპეტენციის მაფორმირებელი საგნების ნაწილში, თუმცა აუცილებელია მსგავსი ტიპის ცვლილებები განხორციელდეს კომპეტენციის მაფორმირებელ სხვა სასწავლო კურსებშიც სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. უნივერსიტეტმა ნაწილობრივ გაითვალისწინა შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია: „კვლევის მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად საჭიროა შემცირდეს პროფესორთა აკადემიური დატვირთვა. მათთვის გამოიყოს სამუშაო სივრცე და მათ მიეცეთ შესაძლებლობა დაუბრკოლებლად ისარგებლონ ხანგრძლივი აკადემიური მივლინებებით“. მისი თქმით, ეს რეკომენდაცია შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად. აღნიშნული რეკომენდაციის პირველი ნაწილი დაწესებულებამ არ გაიზიარა, რომელიც ეხებოდა კვლევის მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად აკადემიური დატვირთვის შემსუბუქებას. უნივერსიტეტმა მოცემული რეკომენდაციის მეორე ნაწილი სრულად გაითვალისწინა. რევაზ ტაბატაძემ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია და რჩევა შეასრულა. "გერმანული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციების დიდი ნაწილი გაითვალისწინა. უნივერსიტეტმა ნაწილობრივ შეასრულა შემდეგი რეკომენდაცია: „გერმანული ფილოლოგიის პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ მასში ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული კომპონენტების განხორციელებაში ჩართული იყოს მეტი აფილირებული პროფესორი.“ უსდ-ს ინფორმაციით, 2023 წლის 19 ივნისს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე განხილულ იქნა და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად გადაეგზავნა აკადემიურ პირთა შესარჩევი ღია კონკურსისთვის გამოსაცხადებელი აკადემიური თანამდებობების რაოდენობა კატეგორიების მიხედვით. თუმცა, ინფორმაცია იმის შესახებ ამოქმედდა თუ არა არსებული დადგენილება საანგარიშო პერიოდში არ არის მოწოდებული. "რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ ფაქტობრივად ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა, თუმცა ორი რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ ნაწილობრივ შესრულდა კერძოდ, „აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად რომანული ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მისი თქმით, წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ მოდიფიცირდა სასწავლო გეგმა და სავალდებულო არჩევითი კურსები (ფრანგული ენა) ერთ სეგმენტში / ბლოკში გაერთიანდა სემესტრების გათვალისწინებით.

რომანული ფილოლოგიის პროგრამა არ ითვალისწინებს მხოლოდ ფრანგული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. საჭიროა მსგავსი ტიპის მოდიფიცირება პროგრამაში განხორციელდეს იტალიური და ესპანური ენებისა და ლიტერატურის ნაწილშიც. ასევე დაწესებულებამ ნაწილობრივ შეასრულა შემდეგი რეკომენდაცია: „რომანული ფილოლოგიის პროგრამაში სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე რომანული (ფრანგული, ესპანური და იტალიური) ენისა და ლიტერატურის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.“ რევაზ ტაბატაძის თქმით, უსდ-ს ინფორმაციით, იგეგმება აკადემიურ პირთა თანამდებობაზე დასაკავებელი კონკურსის გამოცხადება იტალიურ და ესპანურ ენასა და ლიტერატურაში. გარდა ამისა, მოწვეულ იქნა საათობრივი ანაზღაურებით იტალიური და ესპანური ენების მასწავლებლები. უსდ-ს ინფორმაციით, პროგრამა ახალია და რომანულ ფილოლოგიაზე სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, აუცილებელი გახდება ესპანური ენისა და ლიტერატურის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალის ჩართვა. "სლავური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა გარდა ერთისა კერძოდ, სლავური ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე სლავური (რუსული, პოლონური და უკრაინული) ენისა და ლიტერატურის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.“ "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/ გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ფაქტობრივად ყველა რეკომენდაცია შეასრულა, გარდა ერთისა. უნივერსიტეტმა ნაწილობრივ შეასრულა შემდეგი რეკომენდაცია: „ევროპული ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ფილოლოგიის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის“. მისი თქმით, უსდ-მ ლიტერატურათმცოდნეობითი საგნების წასაკითხად მოიწვია ორი პედაგოგი, თუმცა, საჭიროა პროგრამის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე - ინგლისური, გერმანული და ფრანგული ფილოლოგიის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. "თარგმანთმცოდნეობის და კულტურათშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა, გარდა ერთისა. დაწესებულებამ ნაწილობრივ შეასრულა შემდეგი რეკომენდაცია: „თარგმანთმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირდეს სასწავლო ლიტერატურა სასპეციალიზაციო ენების შესაბამისად, ასევე გადაიხედოს და კურსს გაუძღვეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.“ რევაზ ტაბატაძის თქმით, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი აკადემიური საბჭოს, მოდიფიცირებული პროგრამისა და სილაბუსების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ლიტერატურათმცოდნეობითი საგნების წასაკითხად კიდევ ორი პედაგოგი იქნა მოწვეული. თუმცა საჭიროა პროგრამის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სასპეციალიზაციო ენების მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური

პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ვლადიმერ ღლონტი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის პასუხისმგებლიანი დაწესებულება. ეს პასუხისმგებლიანობა გამოიხატა პროგრამების მიმართ გაცემული რეკომენდაციების ზუსტად და პუნქტუალურად შესრულებაში. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, თეონა ბერიძემ განაცხადა, რომ რეკომენდაციების დიდი ნაწილი იყო კლასტერული. რეკომენდაციების ერთი ნაწილი ეხებოდა სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანას, ხოლო მეორე ნაწილი სტუდენტების კონსულტირების საკითხს, სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფას და საბიბლიოთეკო რესურსების განახლებას. მისი თქმით, ბიბლიოთეკის დახმარებით ეტაპობრივად მიმდინარეობდა საგანმანათლებლო ტრენინგ-კურსების ჩატარება. გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში. მისი თქმით, რეკომენდაციები ეხებოდა სწავლა სწავლების მეთოდების გაუმჯობესებას. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ეტაპობრივად დაიგეგმა სხვადასხვა ტრენინგ-კურსი პროფესორებისათვის. ასევე ცვლილებები შევიდა სილაბუსებში. თეონა ბერიძის თქმით, რეკომენდაციების ნაწილობრივი შეფასება ეხებოდა აკადემიური პირების დაბალანსებულად წარმოდგენას საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. უნივერსიტეტს გააზრებული აქვს პროგრამის მდგრადობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის აფილირებულ პირთა დაბალანსებული ჩართულობა, ლიტერატურისა და ენის მიმართულებების თანაბარი წარმოდგენა. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პირთა რაოდენობის პროცედურა, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტების რაოდენობასთან. კლასტერში შესაფასებლად წარმოდგენილი იყო დიდი ნაწილი ფინანსურად არაეფექტური პროგრამები, თუმცა უნივერსიტეტი შიდა სუბსიდირების გზით ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს საგანმანათლებლო პროგრამები შეინარჩუნოს. მისი თქმით, რეკომენდაციების ნაწილი ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების მოდიფიცირებასა და გადახედვას. ამ მიმართულებით დაწესებულებამ დიდი შრომა გასწია. შესაბამისად, მოდიფიცირებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები. ვლადიმერ ღლონტმა პედაგოგიური დატვირთვის შემცირებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტს აღწერაში დეტალურად აქვს გადმოცემული ის ღონისძიებები, რომლებიც დაწესებულებამ საანგარიშო პერიოდში განახორციელა. ამ პერიოდში მიღებული იქნა აფილირების წესი, რომლითაც პროფესორის წლიური დატვირთვა განისაზღვრა 300 საათით, რაც ერთი კვირის მანძილზე ნიშნავს 10 საკონტაქტო საათის შესრულებას. დაწესებულება აკადემიურ პირს აძლევს იმის უფლებას, რომ მან გარდა სავალდებულო დატვირთვისა, რომლის შესაბამისად იღებს შრომის ანაზღაურებას, დამატებითი საათობრივი ანაზღაურება აიღოს. შესაბამისად, ერთი წლის განმავლობაში ეს ზღვარი შემცირდა და 180 საათამდე იქნა დაყვანილი. ამრიგად, ძირითადი შესასრულებელი საათების რაოდენობა პროფესორის არის 300 საათი. დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით პროფესორს შეუძლია აიღოს საათობრივი ანაზღაურება და სტუდენტს გაუწიოს სამეცნიერო ხელმძღვანელობა. შესაბამისად, გაუგებარია ექსპერტის პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ აკადემიური პირის საათობრივი დატვირთვა დიდია და უშლის მას ხელს სამეცნიერო საქმიანობის წარმართვაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აკადემიური საშტატო ერთეულების დამატებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს კორელაციაშია უნივერსიტეტში მოქმედ წესთან, რომლის სახელწოდებაა „აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრა“. ძირითადი პარამეტრები აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისა არის უნივერსიტეტის ბიუჯეტი, თანამდებობრივი სარგო და საბაკალავრო პროგრამებზე შესასრულებელი საათების 60%. ეს ყველაფერი

კუმულაციურად უნდა იყოს სახეზე, რათა განისაზღვროს აკადემიური პერსონალის რაოდენობა. ამ პროგრამებზე გასულ წელს გამოცხადებული იყო კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. გარდა ამისა, მიმდინარე წელს, ზაფხულში კიდევ გამოცხადდება კონკურსი და შესაბამისი ბალანსი იქნება მიღწეული. ვლადიმერ ღლონტმა კვლევით საქმიანობის შეფასებაში მონაწილე პირთა რელევანტურობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორც აკადემიურ, ისე სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასებას ახორციელებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული თანამდებობის პირები კერძოდ, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი. გარდა ამისა, ამ პროცესში მონაწილეობს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში და დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. ის კრიტერიუმები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის შეფასებისათვის, მინიმუმამდე გულისხმობს სუბიექტურ ვარიაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტს. მისი თქმით, ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა ადამიანურ რესურსებს, კერძოდ, პროფესორ მასწავლებლებს. ის დაინტერესდა, რას გულისხმობდა ექსპერტი „დაბალანსებულ მდგომარეობაში“ - გულისხმობდა ის პერსონალის რაოდენობას სტუდენტებთან მიმართებით თუ რომანულ და სლავურ ფილოლოგიის პროგრამებში პერსონალის თანაბარი რაოდენობით ჩართვას. ექსპერტმა რევაზ ტაბატაძემ განაცხადა, რომ დაბალანსებული მდგომარეობა გულისხმობდა მიმართულებების მიხედვით შესაბამისი პერსონალის დასაქმებას უნივერსიტეტში. ქეთევან ქუთათელაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენი სტუდენტი სწავლობს „სლავური“ და „რომანული“ ფილოლოგიის პროგრამაზე. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, თეონა ბერიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ყოველ წელს აცხადებს 5 ადამიანზე მიღებას აღნიშნულ პროგრამებზე. ამჟამად აქტიურია 18-20 სტუდენტი „სლავური“ და „რომანული“ ფილოლოგიის პროგრამებზე. საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ამჟამად როგორია აკადემიური პერსონალის თანაფარდობა აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებთან მიმართებით. თეონა ბერიძემ აღნიშნა, რომ აფილირებულ პირთა რაოდენობა ჭარბობს სტუდენტთა რაოდენობაზე, რომელთა დაბალანსება ხდება ფაკულტეტის დონეზე. ამ საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა უკრაინული, იტალიური, ესპანური და პოლონური ენების მიმართულებით აფილირებულ აკადემიურ პირთა რაოდენობას. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ექსპერტის მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „ენის შესწავლის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, სტუდენტებს ჩაუტარდეთ ტესტირება ენის ცოდნის დონის დასადგენად, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს ენის შესწავლა შესაბამისი საფეხურიდან.“ მას აინტერესებდა, თუ სხვადასხვა დონიდან დაიწყებს სტუდენტი ენის შესწავლას, რამდენად უზრუნველყოფს დაწესებულება ყველა სტუდენტის ერთი და იგივე სწავლის შედეგზე გასვლას. თეონა ბერიძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს დაწესებულება არჩევით სავალდებულო კურსად სთავაზობს A1 დონიდან B1.2 დონის ჩათვლით პრაქტიკული ენის სასწავლო კურსებს, ხოლო B2.2 დონე არის სავალდებულო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 16:58
დასრულებისდრო: 17:08
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო

პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრი სშედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 - 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გერმანული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 - 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გერმანული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)", საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 - 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)", საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სლავური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 - 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სლავური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/ გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 - 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/ გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თარგმანმცოდნეობის და კულტურათშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2^1 - 2^{11} პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თარგმანმცოდნეობის და კულტურათშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

მეათე საკითხი:
„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №530266 გადაწყვეტილების დანართ №1- ში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;

მეთერთმეტე საკითხი:
„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული

ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №530277 გადაწყვეტილების დანართ №1- ში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა.

მოცემულ საკითხებზე აცილება გამოაცხადეს თამარ ლომინაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლისმე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა - გიორგი ღაღანიძე, ხოლო სხდომის მდივნად - ციური დურული.

ცენტრის წარმოამდგენელმა აღნიშნა რომ „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის № 530266 და „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №530277 გადაწყვეტილებების დანართ №1 - ში დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ორივე პროგრამასთან მიმართებით („ინფორმატიკის“ სამაგისტრო და სადოქტორო) აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად ნაცვლად - „2025 წლის 31 დეკემბერი“ მითითებული უნდა იყოს „2032 წლის 31 დეკემბერი“.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის № 530266 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №530266 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში შევიდეს ცვლილება და დანართ №1 - ის მე - 18 პუნქტში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს - 2032 წლის 31 დეკემბერი

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის № 530277 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან

დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №530277გადაწყვეტილების დანართ №1 - ში შევიდეს ცვლილება და დანართ №1 - ის მე - 18 პუნქტში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს - 2032 წლის 31 დეკემბერი

საბჭოს სხდომა დასრულდა 17:13 სთ - ზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
ღაღანიძე გიორგი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
სხდომის მდივანი
ქუთათელაძე ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

ელექტრონულია
ზუსტი ასლია
ორიგინალისა